საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თავართქილაძე მალხაზ მიხეილის ძე

Image not found or type unknown



მ. თავართქილაძე

თავართქილაძე მალხაზ მიხეილის ძე (დ. 13. VI. 1950, თბილისი), მომღერალი (ბანი) და არქიტექტორი. საქართვ. სახ. არტისტი (1982). 1974 დაამთავრა სპი-ის არქიტექტურის ფაკ-ტი. 1974– 83 მუშაობდა საპროექტო ინ-ტ „საქქალაქმშენსახპროექტში", 1983–98 ცეკავშირის საწარმოო გაერთიანება „საქკოოპდიზაინ რეკლამის" დირექტორად. ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში მონაწილეობდა სპი-ის საესტრადო ორკესტრში (ხელმძღვ. ს. ტუღუში) და ვაჟთა კაპელაში (ხელმძღვ. ი. კუბლაშვილი), ხოლო 1971-იდან – ვოკალურ საკრავიერ ტრიოში (მ. თავართქილაძე, დ. აბესაძე, გ. სეფერთელაძე). 1973-იდან ანსამბლს ეწოდა „ცისფერი ტრიო" და გამოდის როგორც საქართვ. სახელმწ. ფილარმონიის პროფ. კოლექტივი. თ-ის შესრულება აღინიშნება უშუალობით, ემოციურობით, მაღალი პროფესიონალიზმით. ლამაზი ჟღერადობის ხმა მას საშუალებას აძლევს საკუთარი ინტერპრეტაციით შეასრულოს ბანის პარტიები ქართვ. კომპოზიტორთა სიმღერებში (ნ. დუღაშვილის „ღმერთი სიყვარულისა", „იმერეთის ნიავო"; ე. ჭელიძის „ლურჯი აპრილი"; თ. ცაგურიას „ზამთარი"; ი. ბობოხიძის „თოვლი"; ო. რამიშვილის „ერთი ქუჩა" და სხვ.). თ-მ არაერთი სიმღერა გადაამუშავა ტრიოსათვის. ანსამბლთან ერთად შემოვლილი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, მ. შ. აშშ, კანადა, ინგლისი, მექსიკა, იაპონია და სხვ. აღსანიშნავია თ-ის, როგორც არქიტექტორის, მოღვაწეობა. მისი პროექტით აშენდა არაერთი შენობა-ნაგებობა. ბავშვთა პანსიონატი დაბა ლესელიძეში (1978), ბავშვთა დასასვენებელი სახლი ქობულეთში (1980) – ორივე არქიტ. ლ. ლორთქიფანიძესთან ერთად. სასტუმრო „დიდველი"

ბაკურიანში (2004); სწრაფი კვების კაფე „ნიკალა" (2002–10; თბილისი გამსახურდიას გამზირი) და სხვ.